


572
1974/2



1974 6N 0908800001 4261

ᠠᠨᠠᠨᠠᠨ



ლილა პარპა

აბა, დედა, დედა,
 რა ბედნიერი წელია,
 ჩვენც სკოლისაკენ ვიქეპრით,
 პირველი სექტემბერია!
 ჩვენს ეყინასე ქუჩაში
 ამარიძორდენე ვერსეები,
 ავასძინანთ კლასები,
 ავასძინანთ შერსები.
 პირველი მასწავლებელი
 დეიძლ დედანსავით ტეტილია,
 სული ვაჟანბოთ, ბავუჭეო,
 პირველი ვაკუეთილია!
 ნახატები ბასო ნიდაშალია


სკოლისაკენ

ამბროსი ლონაძე

მიცუნცულებს სათუნა!
 მიდის სასემცინარე;
 ღხენით მიაცილებენ
 მთა, სევი და შდინარე.

შინ მოსვლისას დედიკო
 ვეგებება კარებთან;
 ანსენდება, როდესაც
 სელით დაატარებდა.

სათოც შუკლის დედილოს,
 ბეჯითია კლასშიბც.
 იმხიან სკოლაში:
 — რა უოხადი ბავუჭია!





რკინიგზის ზედამხედველი

ნოდარ კეკელიძე

ნახატები რეჟისორ მუხომედიანის

ძია ლადო რკინიგზის ზედამხედველად მუშაობს. სადგურიდან ოთხიოდე კილომეტრის მანძილზე ერთ პატარა ჯიხურში გაატარა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი. სოფელში სახლიც აქვს და კარც, მაგრამ აქ ყოფნას არაფერია ურჩევნია. კარგად იცის ძია ლადომ რა საპასუხისმგებლო საქმეც აკისრია: გამოიკეტავს ჯიხურის კარს, გრძელტარიან ჩაქუნს ამოიღლიავენებს და აუჩქარებლად გაუყვება ლარივით გაჭიმულ ლიანდაგს.

დაკვირვებით დაჰყურებს შპალებს, სინჯავს სამაგრებს: სადმე რამე სიამ არ მოშვებულა, მატარებლების ნორმალური მიმოსვლა არ შეფერხდესო.

აქ, ძია ლადოს ჯიხურთან, არასოდეს ჩერდებიან მატარებლები, მაგრამ ზედამხედველს მინც ყველა იცნობს: მემანქანეებიც და მგზავრებიც. ძია ლადოს არც სოფლიდან ივიწყებენ და თანასოფელები ხშირადაც აკითხავენ, მითუმეტეს სოფლის ბიჭბუჭობა. უყვართ ბავშვებს ძია ლადოსთან ერთად

რკინიგზაზე ავლა-ჩავლა და გრძელტარიანი ჩაქუნის რელსებზე ფრთხილი. გამოზომილი კაკუნი. მიდის ხოლმე ძია ლადო და მისდევს ბავშვების მთელი ჯგრო. დროდადრო შედგება მოხუცი, მეწინავეს ჩაქუნს გაუწვდის და გტყვის:

— აბა, შეილო, შეუდექი საქმეს!—ბიჭიც დაწინაურდება და ჩაქუნის კაკუნით გაუყვება ლიანდაგს. ასე, რიგ-რიგობით, ყველას ხელიში გამოივლის გრძელტარიანი ჩაქუნი და ბოლოს ისევ ძია ლადოს უბრუნდება. მერე ჯიხურთან ჩამოსხდებიან „ნაჯაფარი“ ბიჭები და ბაასობენ.

— აბა, ესეც ესევე!—იტყვის ძია ლადო,—ახლა გზა ხსნილი აქვს ვასოს ელმავალსაც! გოგის ელმავალსაც და ყველა ელმავალს!

— ძია ლადო!—ეკითხება დათო,—ამ გზაზე რაც ელმავლები დადიან. ყველას მემანქანე გიცნობს?

— მააშ, შეილო, —ამაყად აქნევს თავს მოხუცი,—მემანქანეებიც მიცნობენ და მგზავრებიც!

— იი!— ჰკვირობს ზურია, — მგზავრებიც? საიდან, როგორ?

— ჰე! კაცი ამ ჯიხურში დავებრდი და როგორა გგონიათ, არ უნდა მიცნობდნენ? ერთმა მეორეს უთხრა, ამა და ამ ადგილას, ძია ლადო დგასო, ამ მეორემ — მესამეს, მესამემ — მეოთხეს და ასე გამიცნო ქვეყანამ. ახლა მატარებლები რომ მიმოდიან, თავის ქნევასა და ქუდის მოხდას ვეღარ ავუღივარ!..

ერთ დღეს ბავშვები ჩვეულებრივად ესტუმრნენ ძია ლადოს და კალათით სადილიც ჩამოუტანეს. ბიჭებმა შორიდანვე შენიშნეს, რომ ჯიხურთან მოფუსფუსე ძია ლადო სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. მოხუცს ახალთახალი, ქათქათა პერანგი და საგულდაგულოდ დაუთოვებული შარვალი ეცვა. ბავშვებმა ცნობისმოყვარეობა ვეღარ დაფარეს და მისვლისთანავე ჰკითხეს:

— ძია ლადო, ასე რომ გამოწყობილხარ, ქალაქში ხომ არ მიდიხარ?

— ჰი! მორცხვად ჩაეღიმა მოხუცს, — არა, შეილებო, აბა, სად წავალ? დედაკაცი აღარ მომეშვა, შენი დაბადების დღეა და ადამიანურად ჩაიცივი, ქვეყანა მიდი-მოდიო, მეც აღარ გავჯიუტებულვარ და, აკი ჩაეცივი კიდევ!

— მერე და, სტუმრებს არ ელი?

— ამ გზაზე ავლილი-ჩავლილი მატარებლების მგზავრები სულ ჩემი სტუმრები არ არიან! იმ დღეს მართლაც ბევრმა მატარებლებმა აიარ-ჩაიარა, მაგრამ თითქმის და პირი შეჰკ-

რესო, რატომღაც მოხუცისათვის არავის მიუქცევია ყურადღება.

ძია ლადო პატარა ხანს კიდევ იდგა გარეთ, მერე უხალისოდ ჩააქნია ხელი და ჯიხურში ბუზღუნით შევიდა.

ბიჭები მაშინვე მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და მათაც დასწყდათ გული.

„მაშ ისე უნდა დაღამდეს, რომ ძია ლადოს დაბადების დღე არავინ მიულოცოს?“ გაიფიქრა დათომ, მერე რალაც მოისაზრა და ზურიას თავისი ვადაწყვეტილება გაანდო. კარგა ხანს ითათბირეს, ბოლოს ბიჭებს დაუბარეს: აქედან ფეხი არსად მოიცვალოთო და საღვალად მოჰკურცხლეს.

* * *

სადგურში რომ მატარებელი შემოვიდა, დათო და ზურია მემანქანესთან მიიჭრნენ და სათქმელი სხაბასხუბით უამბეს. მემანქანეს ჩაეღიმა, ბიჭებს მიეფერა და თქვა:

— მართლაც კარგი საქმე მოგიფიქრებიათ, მაგრამ მე არა მაქვს უფლება, მატარებელს განრიგიდან ვერ ამოვავლებ!

— მაშ, რა ვქნათ? — სახეები დაუნაღვლიანდათ ბიჭებს.

— აი, სადგურის უფროსი თუ დაგთანხმდებათ, დიდი სიამოვნებით, ორი წუთი არაფერია ჩემთვის!

მემანქანემ საათს დახედა და ჩილაპარაკა:

— წავიდეთ სადგურის უფროსთან, ვცადოთ!





სადგურის უფროსი კაბინეტში დახვდათ.
— შოთა ბატონო!— მიმართა მემანქანემ
დამხედურს, — აბა, ერთი ამ ყმაწვილებს მოუს-
მინეთ.

ბიჭებმა ახლა სადგურის უფროსს ამცნეს
თავიანთი ვადაწყვეტილება. სადგურის უფ-
როსი ერთხანს სდუმდა. მერე თავი ღიმი-
ლით გადააქნია:

— ძია ლაღოს ვინ არ იცნობს, მაგრამ
დრო? დროს რა ვუყოთ?

— დროზე მე ვარ პასუხისმგებელი, ბატო-
ნო შოთა! — თქვა მემანქანემ, — ოღონდაც ჩემს
უკან მომავალი ელმავალი ერთი წუთით შე-
მიჩერე!

— კი, ბატონო, ვერე იყოს!

ძია ლაღო თვალებს არ უჯერებდა, როცა
ელმავალი ჯიხურს ცოტათი გასცდა და შე-
ჩერდა. მოხუცმა ალაში დაბლა დაუშვა და
მისკენ მომავალ მემანქანისაკენ გულის თან-
ქალით გაეშურა.

ამასობაში ვაგონებში ერთი ჩოჩქოლი შე-

იქნა; რა მოხდა, მატარებელი უადგილო-
ადგილას რატომ შეჩერდაო. ცნობისმოყვა-
რენი ფანჯრებს და კიბეებს მოაწყუნდნენ. მერე
ვიღაცამ წამოიძახა, აგერ იმ მოხუცის დაბა-
დების დღე ყოფილაო.


— რას ამბობ, კაცო, მართლა?!

— რაო, რაო? — კითხულობდნენ აქეთ-
იქიდან, — დაბადების დღეო?

ახალი ამბავი, მატარებელს ელვისისიწრა-
ფით მოედო. მგზავრები გარეთ გამოეფინენ,
ყველას სურდა ახლოს ენახა იუბილარი. ვის
ყვავილები მიჰქონდა, ვის სასმელ-საჭმელი.

გაოგნებული ძია ლაღო, უაზროდ იღიმე-
ბოდა, ყველას სათითაოდ ართმევდა ხელს
და ჯიხურში ევატიყებოდა; თითო კიქა
დამილიეთო...

ბოლოს ელმავალმა ერთი შეჰკივლა და
მძიმედ აითრია ვაგონები. ფანჯრებზე მომ-
ყვადარი მგზავრები კმაყოფილების ღიმილით
გაჰყურებდნენ ძია ლაღოს, რომლის თვა-
ლებზეც სიხარულის ცრემლები კიაფობდნენ.



კახეთი



ქენი სემოქო

მოლდავთი

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1940 წელს.
რესპუბლიკა იყოფა 60 რაიონად.
მოსახლეობა—სამ მილიონ ნახევარზე მეტი.
დედაქალაქი—კიშინიოვი.

ყირგიზთი

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1936 წელს. მანამდე იგი შედიოდა რსფსრ-ის შემადგენლობაში და წარმოადგენდა ჯერ ავტონომიურ ოლქს (1924 წლიდან), მერე—ავტონომიურ საბჭო-


თა სოციალისტურ რესპუბლიკას (1926 წლიდან).

იყოფა სამ ოლქად და 8 რაიონად.
მოსახლეობა—3 მილიონზე ცოტა მეტი.
დედაქალაქი—ფრუნჯე.

ყაზახთი

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1936 წელს. მანამდე, 1920 წლიდან, იგი შედიოდა რსფსრ-ის შემადგენლობაში ყაზახეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით.

იყოფა 17 ოლქად და 203 რაიონად.
მოსახლეობა—14 მილიონამდე კაცი.
დედაქალაქი—ალმა-ატა.



ა. ჯანაზიანი (ყირგიზეთი)

სამშობლო

ალა-თაუს მთიდან
გადავხედე ქვეყანას!
მართალს ვამბობ,
ვინმეს
არ გვენოთ მკეცხარა.
ეს ქვეყანა ჩემი
სამშობლოა ვრცელი!
ყველა ქალაქს ვნახავ,
ყველა კუთხე მელის.
მომაქანებს თქვენსკენ
ეს ხალიჩა ჭრელი...
გამოფურინდი უკვე.—
ჰერი, ჰერი, ჰერი...

მეგობრები

ლევია ლაღინა (მოლდავეთი)

არც ისე დიდი ხანია,
რაც გავიცანი ტანია;
მე მოლდაველი გახლავართ,
ის მოსკოველი ქალია.

მეგობრები ვართ ნამდვილი,
მაგრამ რა დასამალია—
მე მისი ენა არ ვიცო
და ჩემი ენა—ტანიაა.

ჰოდა, დავიდეთ წიგნები,
უბრად რომ ვეღარ გაეძლით—
ტანია სწავლობს მოლდავურს,
მე რუსულ ანბანს ჩავცქერი.

ბ. ბაქლაინი (ყაზახეთი)

მეგობრები

ერთხელ ცანცარა კურდღელი
სტაფილოს აკნატუნებდა,
გაძღა და ძილი მოუნდა,
თავს ნაზად აკანტუნებდა.
შუცებ, ფაჩუნი მოვსმა
და შიშისაგან გაფითრდა,
ყურები ზურგზე გაიწყო,
შეტრიალდა და გაფრინდა.
რა გაფაჩუნდა ბუჩქებში,
რამ შეაშინა იციოთ—
არც მგელი იყო, არც დაფი,
ბაბუია იყო მისი!



ქრისტეფორე

ვლადიმერ ასლანაშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ირმას ბატარა ძამიკო ჰყავს. წევს აკვანში და არხეინად ძინავს. ირმას ძალიან უყვარს თავისი ძმა. ჩამოჯდება აკვანთან, არწევს წყნარად და ნანას უმღერის.

ერთ დღეს ამხანაგებმა ირმას სთხოვეს: შენი ძამიკო გვაჩვენე, რა კაციაო. მოზრდნადი და ნახეთო, მიიპატიყა ირმამ ტოლები.

როცა აკვანს—ირმა, თემო, ნინო და ბესო შემოეხვივნენ, თვალმდაჭყეტელმა ბიჭმა გაკვირვებით შეათვალიერა სტუმრები, ეს რა ხალხი მოსულაო.

- რა კარგი ბიჭია!
- რა ლამაზია!—აღტაცებით ამზობდნენ ბავშვები.

- რა ჰქვია?—იკითხა თემომ.
- ქრისტეფორე!
- ამ ბატარა ბიჭს რამსიგრძე სახელი აქვს!— შენიშნა თემომ.
- ლაბარაკი თუ იცის?—დაინტერესდა ბესო.
- როგორ არა!—თავი დაუქნია ირმამ და ჩაიციხა,—მაგის ლაბარაკი მხოლოდ მე და დედას გვესმის.
- მართლა? აბა, რამე თქვას!
- ბედად, სწორედ ამ დროს ქრისტეფორემ ამოიღულღულა—აღუუ, აღუუ.
- ეგე, ხომ გითხარი!—გაუნარდა ირმას.
- რა თქვა?—იკითხა გაოცებულმა ბესომ.

— ლაპარაკი ვიციო!
ბესომ ირმას არ დაუჯერა, ჯიბეში თხილი
ააჩხრიალა და ქრისტეფორეს ჰკითხა:
— თხილი არ გინდა?
თხილის ჩხრიალზე ქრისტეფორემ თავი ბე-
სოსკენ მიატრიალა და „აღუო“ გაუბასუხა.
ბესომ ირმას გადახედა;—რა თქვაო.
ირმა ეშმაკი გოგო ბრძანდებოდა, იფიქრა,
ბესოს იქნებ თხილი დავცინცლოო და უბასუხა:
— ერთი მუჭა თხილი მომეციო.
— კბილები რომ არა აქვს?—იკითხა დაეჭვე-
ბულმა ბესომ.
ირმამ იხტიზარი არ გაიტყნა:
— შემიწახეთ და, როცა კბილები ამომივა,
მაშინ გეპასუხებო.

— ჰოო, მეც მაშინ მოვიტან!—მიუგო ბესომ.
ოთახში ირმას დედა შემოვიდა:
— ბავშვებო, ახლა ქრისტეფორემ ძუძუ უნდა
მიირთვას, შეგიძლიათ წახვიდეთ!
სტუმრები ქრისტეფორეს გამოემშვიდობნენ:
— ნახვამდის! მალე გაიზარდი, რომ ჩვენთან
ითამაშოო.
— აღუ, აღუ!—ქრისტეფორემ აკვნიდან თა-
ვი წამოსწია.
ბესომ ფეხი შეაყენა:
— მოიცათ, რაღაც გეითხრა.
— ჯიბეში რომ თხილს აჩხრიალებ, ბავშვებს
უწილადეო,—თქვა ირმამ.
ქრისტეფორეს ხათრით ბესომ თხილი გააან-
წილა.



აღზანა და ჩაღზანა

მითარ ჟალიძე

(გაგარძელუბა)

ნახატები ზურაბ ჰაპუნაშვილი

თავი მეოთხე

აღზანას და ჩაღზანას
ლაშაზ სოფელ დეროდან
რკინიგზამდე შორს იყო,
მაგრამ ძალაც გვერჩოდა.
დრო, საგზალი, ხალისი
სამს გვებადა საკმაოდ,
დილის ფეხით წასულნი
ჩავიდოდით საღამოს...

ადრე დავიყუბულე
მათი ფრთხილი მშობლები:
— სულ ბავშვებთან ვიქნები
წამით არ მოვშორდები.
უცნობ სოფლებს გავაცნობ.
თბილისს შემოვაცარებ,



მზურუნველობას და მოვლას
არ დავაკლებ პატარებს.
არც აკვანი სჭირდებოთ
და არც ხელში აყვანა.—
ამ სიტყვებზე აენთნენ
ჩაღზანა და აღზანა.
წათ მიფუხვდი, შევეცვალე
უტბად თემა საუბრის:
აკვანს, ხელში აყვანას
ყველა კაცი გაურბის.
მთის სოფლიდან დაღმართზე
ვეშვებოდით ბილიკით,
ლურჯი ნაკადულები
გვაცვილებდნენ ლიკლიკით.
ენტო უღამაშესი
დილა გამოზაფხულის,
ხეებს აწდათ ავირტები
ოდნავ გამოსახული.
ძირს მოქუხდა მდინარე
მთიდან დაქანებული,
მისი შიშით კლდეები
იდგნენ გაქვავებული.
დილის მგზავრებს ყველა მთა
გვეძახოდა ჩანჩქერით:
ჩემთან ახლო გაჩერდით!..
ჩემთან, ჩემთან გაჩერდით,
ტყისპირ ხელებს გვიშვერდა
ცაცხვი, რცხილა, ურთხმელი.
უცებ წყავის ბუჩქიდან
გამოვარდა კურდღელი.
მან წამიერ მოგვაპყრო
დაცქვეტილი ყურები,
სველ თიხნარზე დატოვა
წვრილი ნაფეხურები...
აღზანას და ჩაღზანას
თითქოს არც დაუნახავთ...
— ორმოც კურდღელს გაჩუქებთ,
თქვენ ქალაქში თუ არ გყავთ.—
თქვა აღზანამ და ჩუმად
დადხნდა ჩაღზანას.
— მაინც როგორ პირდები
ორმოც კურდღლის ჩაყვანას?
ერთ დროს არ მოვამყენეთ?
ოცდაათიც არა გყავს.

ფვაგვილუბის რეიმი

ნიკრი ხარაძე

აიძაღუნენ სავბასებო
ღურჯო კაბის შარიშურით...
თედო ზანას ლამას ბაღში
სეიშია დანძმული.

ქვავილები სეიშია,
აბა, განი, განი, განი...
იასამებს, დიდილოებს
კვირილებმა მისცეს ბანი...
ნახატი ბესო ხილაპულია



ვაშრა, არ აპირებდა
ბიჭი უკან დახევას.
— თუ ხარ ჩემი ძმაკაცი,
ხომ დამითმობ ნახევარს?
— რატომ უნდა დავითმო,
თავად ვუძღვნი საჩუქრად!..
ორნი ლამის ერთმანეთს
დაეტყენენ საჩხუბრად.
მაღე დავაშოშმინე
აღხანა და ჩაღხანა:
გადავწყვიტე თითოსგან
თითო კურღლის წაყვანა.
სხივებს უხვად გვადვრიდა
ჩვენ მზე ცხოველმყოფელი,
ხევის გაღმა მოჩანდა
წალკოტივით სოფელი...
სულ ბაღებში ჩაფლული
გვიღიმოდა გაღმიდან.
მისი ნახვის წყურვილი
ბავშვთა გულშიც გადავიდა.
— არ გინახავთ ეს მხარე
აქორილი ბაღებად?
— არა, არ გვინახავსო,—
მიპასუხებს ბაღლებმა.
ჩელტის ხიდაზე გადასვლა
ბიჭებს გაუკვირდებათ,
მითხრეს:— ასეთ ღობეზე
ფეხს ვადგამთო პირველად.
— მსხვილი წნელით მოწნული
ხიდი ღობე გეგონათ?—



ბაბალი და ბელი

შოტლანდიური ზღაპარი



ერთ დღეს მელიამ ფერმერს მამალი მოსტაცა. მამლის კრიახზე ხაღნი გარეთ გამოცვივდა და მელიას ყვირილით დაეძგვნა: — დაიჭირეთ, არ გაუშვათ მამლის ქურდო!

მამადმა ჭკუა იხმარა:

— არა, ისინი თუ სულელები არ არიან, შენისთანა ფეხმარდს რომ მოსდევნენ, დაჭერის იმედი აქვთ, თუ? ადექი და შენც მიაყვირე: რას მომდევთ, ეს ჩემი საკუთარი მამალია-თქო!

მელიას მოეწონა მამლის ნათქვამი, დაალოპირი და ხაღს შესძახა:

— რას მომდევთ, თქვე საცოდავებო, ეს ხომ ჩემი საკუთარი მამალია!

ამასობაში მამადმა დრო იხელთა და პირდაპირ ფერმერის ეზოსაკენ მოკურცნდა.

ინგლისურიდან თარგმნა ნელი ნოზაქამ ნახატი პლუპლ პაპოპაქისა



ვთქვი და მერე ბოსტნები დავანახე მეგობართ.

იქვე ერთი ცხოველი ბალახს ძოვდა უურგარძელი, გაიოცეს ბიჭებმა:

— ოჰ, ამხელა კურდღელი?!

— კურდღელს უგავს ურები!

— აქვს მოზრდილი ხბოს ტანი!

— შეუძლია ერთ წუთში

გადაძოვოს ბოსტანი!

ჩუმად მედიმებოდა,

არ მინდოდა გამხეცა.

კურდღლებს როცა მიაჩუქებთ, თითო იყოს მავხელა.

ეგ რაც არის, ზღაპრიდან იციხ ბავშვმა ყოველმა.

უცებ მორთო უროყინი

უცნაურმა ცხოველმა

— რას შვრებო, — ორთავე

შიშისაგან გაშრება,

დაფეთებულ თვალებით

წემომხედეს ბავშვებმა.

— არ ვინახავთ? ვირია! —

ვთქვი და წამსკდა სიცილი.

აღხანას და ჩაღხანას

დაწვებს სწვევდა სირცხვილი.

სახედარზე შემსხდრებმა

დიღხანს მალაპარაკეს,

ვუყვებოდი გზადაგზა

ვირზე იგავ-არაკებს.

უწყინარი ცხოველი

სოფლის ბოლოს გაფუშვი,

შორს გავხედე, არავინ

ჩანდა მყუდრო სადგურში.

ვისადილეთ კიდევცო,

გრძელმა გზამ ვერ დაგვალა.

მომყვებოდნენ სიცილით

აღხანა და ჩაღხანა.

(ვაგრძელება იქნება)

ზურიკოს ბეყარი


ნახატები თამარ ჩიჩინაშვილისა

ნადირობიდან დაბრუნებულმა მამამ ზურიკოს ცოცხალი მწყერი მოუყვანა. საბრალო ფრინველისთვის ტყვიას ფრთა მოეტეხა.

მწყერს ჭრილობა მობანეს. ზედ მალამო დაადეს, გალიაში ჩასვეს და საკენკიც ბლომად დაუყარეს.

მწყერს ეამა მზრუნველი ხელი, მაგრამ პირველ დღეებში მაინც მოიწყინა, საჭმელსა და წყალს ახლოს არ მიეკარა, გალიის ერთ კუთხეში მიყუჟულიყო და თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. როგორც კი ზურიკო მიუახლოვდებოდა, შეშინებული მწყერი ძალ-ღონეს მოიკრეფდა, შეიფრთხივდებოდა და რკინის კედლებს მიაწყდებოდა. მაგრამ ფრთა-მოტეხილისთვის გალიის კარიც რომ გაეღოთ, მაინც ვერ გაფრინდებოდა.

მიდიოდა დღეები. მწყერი თითქოს შეეგუა ტყვეობას, ზურიკოსაც თვალი შეაჩვია. მალე ჭრილობაც მოუშუშდა, გამოკეთება



დაეტყო, თანდათან უფრო მოუსვენარი და მოძრავი გახდა: გალიის ხან ერთ მხარეს აწყდებოდა, ხან—მეორეს, გასაძრომს ეძებდა, გული კვლავ ჭაღლებისა და ველ-მინდვრებისაკენ მიუწყევდა.

ამასობაში შემოდგომაც მიიწურა. ერთ დღეს სოფლიდან ზურიკოს ბეგია ჩამოვიდა. წასვლისას ბიჭმა თხოვა, მწყერი წაეყვანა და მინდორში გაეშვა. ბებიათ თხოვნა შეუსრულა, მწყერი ავტობუსის ფანჯრიდან ყანებში გადააფრინა.

ახლა ის მწყერი ალბათ სხვა ფრინველებთან ერთად თავისუფლად დანავარდობს და თბილ ქვეყნებში გასაფრენად ემზადება.

ჩვენებური ზამთარი მოკლეა. მალე გაზაფხულდება, კვლავაც დათბება, ფრინველებიც დაბრუნდებიან და თავიანთ ბუდეებს მიაშურებენ.

ნეტავ, ზურიკოს მწყერიც დაბრუნდება?!

მკვებისა

კაზა

მალა ამისულაშვილი



ერთი ტანმომცრო ბიჭი ვარ,
 არვის გეგონოთ გლახაო.
 ხელში მათრახი მიჭირავს,
 სახელად მქვია კახაო.
 მეფე ერეკლეს
 სუხნია
 სხვა ვინ იქნება ახლაო...
 წინათ ის იყო?
 დღეს მე ვარ
 ერთი „ბატარა კახიო“.
 მომართეთ რკინის პერანგი,
 გავკრა ხელი და გავხიო...
 მე ლაშქარმოსყვარული ვარ,
 სხვა რა ინდომოს კახამა.
 შევარდნებს ვეძმობილები,
 შორს ჩემგან ყვავის ბახალა!
 არ ვტყუი,
 ზოგჯერ დევკაცთა
 დამჩოქებელიც გახლავართ!..
 ნახატი ელუარდ ამბოქაძისა

თალიკო და სამელნა

მრთა ხოლაშენლი

უცვბ ატირდა თალიკო:
 — რა მოხდა შეილო, რა იყო?
 — ჩემი ღამაზი სამელნე
 გუშინ ვატყუნა სურიაბ.
 — გუშინდელსე, რომ დღეს ტირი,
 მითხარი, სადაურია?
 თალიკო უფრო ატირდა,
 სახლი ღრიალით აიკლო,
 თქვა: გუშინ ვისთან შეტირი
 შინ არ იყავი, მამიკო!



პარი და მეზის ასული



ზ ლ ა მ ა რ ი

ვეა ბალაჟი ნახატები **პახაზანი მულისაშვილისა**

ერთ მეფეს მზეთუნახავი ასული ჰყავდა. ისეთი ლამაზი იყო, ავ თვალს არ ენახებოდა. ხელმწიფეს სულ იმის შიში ჰქონდა. ვაითუ შესაფერი საქმრო ვერ მოვუძებნო და გაუთხოვარი დამრჩესო.

მართლაც, აბა, ვინ გაბედავდა ხელი ეთხოვა მეფის ასულისათვის.

ერთხელ კი, ყველას გასაოცრად, მზეთუნახავს სასახლის მეზალემ სთხოვა ცოლობა.

მეფის ასულს სიცილადა არ ეყო:

— როგორ მიბედავ, განა არ იცი, რომ ამ ქვეყნად ჩემზე ლამაზი არავინ არისო!

— როგორ არაო, ჩემს ბაღში რომ ვარდი ჰყავის, ბევრად უფრო ლამაზიაო, — შეჰკადრა განაწყენებულმა მეზალემ.

მეფის ასულმა მაშინვე ციხეში ჩამწყვდევინა თავხედი მეზალე და ვარდის სანახავად გაიქცა. მართლაც, ვარდი ისეთი ლამაზი იყო, მზეთუნახავი კინაღამ შურით გასკდა:

— წყალში დააბრჩეთო! — უბრძანა მსახურებს.

აღგნენ და ვარდი ტბაში ჩააგდეს.

ყველი ერთი კი ჩაიძირა, მაგრამ მალე უკანვე ამოტივტივდა. მსახურნი თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და ეს ამბავი მეფის ასულს მოახსენეს.

— ცეცხლში დასწვითო! — ბრძანა გაცოფებულმა მზეთუნახავმა.

დანთეს სასახლის ეზოში ცეცხლი და გადაუძახეს შიგ ვარდი!


მაგრამ დახე საკვირველებას! მეორე დღეს სანახავად რომ გამოვიდნენ, ვარდი უვნებელი არ დაუხედათ!

რაღა უნდა ექნათ, ეახლნენ მეფის ასულს და ხმის კანკალით მოახსენეს ყველაფერი.



— აიღეთ და ჯურღმულში ჩაადეთ, მე-
ბალის გვერდით, ერთად დაიხოცებიანო! —
ბრძანა გაავებულმა მზეთუნახავმა.

მეფის ასულს ვგონა, ვგ არი, მეტოქე თა-
ვიდან მოვიშორეო და სიხარულით აღარ
იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვარდმა
თავი ამოპყო ჯურღმულის პაწაწინა სარკ-
მელში, აცოცდა კედელზე და სწორედ მე-
ფის ასულის აივნის წინ გადაიფურჩქნა.



გაანჩხლებული, ატირებული მზეთუნახავი
მამას შეეხვეწა; მასწავლე როგორ მოვიქცეო.
ხელმწიფემ უპასუხა: — ტყუილად წვალობ,
შვილო, სილამაზის მოსპობა არ შეიძლება!
მეფის ბრძანებით ვარდი ჯურღმულიდან
ბაღში გადაარგეს. მებაღეც გაათავისუფლეს.
ამის მნახველი მზეთუნახავი სიანჩხლისა-
გან ისე დაუშნოვდა, მასზე მახინჯი ალბათ
აღარავინ იქნებოდა.

ვარდი კი ჰყვარდა ბაღში, ჰყვარდა თეთ-
რად, ყვითლად და თავისი სილამაზით იქაუ-
რობას ელფერს მატებდა.


უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისუჩაძემ



კურდღელი

გრიგოლ ხახუნაძე

ზაზა ჩიოდა:
 ჩვენს ბოსტანს
 შემოეჩვია კურდღელი.
 დანამ თქვა:
 მოდი, ზაზაო,
 კურდღელს დაუდგათ
 უფელი!
 ეს რომ ეურცქვიტამ გაიგო,
 შეშინდა საწვალბეული;
 ტეისკენ მოჰკურცხლა და შემდეგ
 აღარც უნახაეს სოფელი.



ნახტი თეზურ ჩირინაშვილისა



ბელი

რა ეოფილა დათვის ბელი!
 გააკვირვა მან სოფელი.
 სასაცილო არის მეტად.
 დაბაჯბაჯებს ლეკვთან ერთად.

სულ არ არის იგი ავი,
 უფარს ლეკვის სალაფავი.
 ძემუსაც წოვს ლეკვის დედანს,
 წამოწოლილს როცა ხედავს.



შპრპდპ

ცაში გაისმა ქუხილი,
გადატედა ვლვის ისარი,
ცეცხლი რომ ჩამოვარდება,
პირველი სიტყვა ის არი.
მუხის ნაყოფის საწყისი
ბგერაა არის საჭირო,
პირველი სიტყვის შუაში
რომ ჩაუმბატო ემაწვილო.
ჰოდა, სასკოლო ავეჯის
სახელად გადაიქცევა,—
ისიც მოწმეა უოველთვის
კლასში ვინ როგორ იქცევა.

შოთა ამირანაშვილი



ყიყინა

შაღა შაღაძა

ბექობიდან
წყალში სკუპი.—
მწერებს—ყლაპი,
მატლებს—ყლუპი.

სინინაპს.



პიყინაპს.



ქნაპის.



ბლაპის.



ყიყის.



ჰყიპის.



ბავშვებო! დააკვირდით, სწორად შეასრულა
პატარა ზურჩიამ საშინაო დავალები?!
აბა, დაესმარეთ!



74481

მთავარი რედაქტორი მუხრან მამუკაშვილი

ხარედაქციო კოლეგია: კაპიტრი გომიგაშვილი, ლეილაბერიძე, მამუკა მამუკაშვილი, ჯიშუაშვილი, მუხრან მამუკაშვილი, ირაკლი მამუკაშვილი (პედაგოგი), ზაზა მამუკაშვილი (სამხ. რედაქტორი), გომიგაშვილი, გივი მამუკაშვილი.

პაქ. აღკ. ცე-ისა და ვ.ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ექსპლ. ელახუ ნატი ჯამალ ლოლუასი გამომცემის 47-ე წელი.

ტერმინოლოგიის ზ. კომისიის


მისამართი: რედაქცია, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პედაგოგის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდენისი—93-98-16.

ვადები: ასაწყობად 2/VII-74 წ., ხელმოწერა დასაბეჭდოდ 23/VII-74 წ., კალენდის ზომი 60x90^{1/16} ფიზ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 150.700 შუკე. №2667. „დილა“ № 9. ნა გრუიკონსკომ ვაჟიკე. ფაბი 20 კაბ

პაქ. კ. ცე-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии



G 30/175



„გაფხუღი“—ნახგვანა მუსქიძის, მხარაძის ჩაიონ ურეკი.
 „ქარხვალა“—ნახ. იამენა კარფელიშვილის, ნწ. თბილისი.
 „ქალა“—ნახ. ნინო დათუაშვილის, თბილისი.
 „ოსური ტეკვა“—ნახ. დიდი სურციცის, თბილისი.
 „შთის მდიწარე“—ნახ. ქეთინო ბაზაძის, სახურე.
 „ცხენა“—ნახ. ჯაჯა ჭურაბაშვილის, ნწ. თბილისი.

76055

